სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ, რექტორის ბრძანებების (2025 წლის 6 აგვისტოს №176/01-01 და N 177/01-01) საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად, აკადემიური საბჭოს (2025 წლის 12 სექტემბრის № 49/2025) დადგენილებით დამტკიცებული შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომა

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი 7 ოქტომბერი, 15:00 საათი, 2025 წელი

აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

მარი წერეთელი -კომისიის თავმჯდომარე (თსუს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი)

მანანა შამილიშვილი -კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (თსუს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი)

ნანული ტალახაძე -კომისიის მდივანი (თსუს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი)

ნათია კუპრაშვილი -კომისიის წევრი (თსუს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი)

ეკა თხილავა -კომისიის წევრი (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი)

დღის წესრიგი:

1. საკონკურსო კომისიის პირველი (დოკუმენტების შესწავლა) და მეორე სხდომის (გასაუბრებისა და კენჭისყრის) შედეგების შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, მარი წერეთლის ინფორმაცია კონკურსის მიმდინარეობის შესახებ:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის ბრძანებების (2025 წლის 6 აგვისტოს №176/01-01 და N 177/01-01) საფუძველზე გამოცხადებული იყო კონკურსი ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე და ასისტენტ პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე. ასოცირებული პროფესორის კონკურსში მონაწილეობდა კონკურსანტი მაია ტორაძე, ხოლო ასისტენტ-პროფესორის კონკურსში - კონკურსანტი თამარ ბელქანია.

კონკურსის პირველ ეტაპზე განხილულ იქნა კონკურსანტების დოკუმენტაცია.

კანდიდატ მაია ტორაძეს წესრიგში ჰქონდა საკონკურსოდ წარმოდგენილი საბუთები, რომლებიც სრულად შეესაბამება ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევ საკონკურსო კრიტერიუმებს. კონკურსანტ მაია ტორაძის სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის #118 დადგენილებით განსაზღვრული კონკურსანტის შეფასების ფორმის (დანართი #4) ოთხივე კატეგორიის მიხედვით, მიეცა შეფასება - მაღალი.

კონკურსანტ თამარ ბელქანიას სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის #118 დადგენილებით განსაზღვრული კონკურსანტის შეფასების ფორმის (დანართი #4) ოთხივე კატეგორიის მიხედვით, მიეცა შეფასება - საშუალო.

კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტები მაია ტორაძე და თამარ ბელქანია გადაყვანილ იქნენ კონკურსის მეორე - გასაუბრების ეტაპზე.

პრეზენტაცია - გასაუბრებაში მონაწილეობდა კონკურსანტი მაია ტორაძე, რომელმაც წარმოადგინა პრეზენტაცია: **„ბეჭდური მედიის პერსპექტივა თანამედროვე მასმედიის სისტემაში“.**

კონკურსანტმა ამომწურავად უპასუხა კომისიის წევრთა შეკითხვებს. მან ისაუბრა უახლოეს სამეცნიერო-კვლევით პროექტებზე, აღნიშნა, რომ მისთვის პრიორიტეტულია თანამედროვე მედიასივრცეში მიმდინარე პროცესების, ჟურნალისტური პრაქტიკის ტრანსფორმაციისა და კომუნიკაციური კულტურის ევოლუციის შესწავლა. კერძოდ, კვლევა იმისა, თუ როგორ ახდენს ტექნოლოგიური განვითარება გავლენას ჟურნალისტური პროდუქტის შინაარსზე, პროფესიულ სტანდარტებსა და მედიაგარემოს კულტურულ განზომილებებზე. ისაუბრა თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გავლენის შედეგად, ჟურნალისტური ტერმინოლოგიის სისტემური შესწავლის მიზნით, ინტერდისციპლინური პროექტის ფარგლებში ონლაინ (განახლებადი) ლექსიკონის მომზადების საჭიროებაზე, რაც ხელს შეუწყობს ჟურნალისტების მეტყველების დახვეწას და სამეცნიერო საქმიანობაში ტერმინოლოგიურ სიზუსტეს. კონკურსანტმა აღნიშნა, რომ ასევე, მის კვლევით ინტერესებში შედის ჟურნალისტთა პროფესიული კეთილდღეობისა და მენტალური ჯანმრთელობის კვლევა კრიზისულ გარემოში, რაც თანამედროვე ჟურნალისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ჯერაც არასაკმარისად შესწავლილი მიმართულებაა. მისი თქმით, აღნიშნული კვლევები შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს ჟურნალისტიკის სასწავლო კურსებში.

გასაუბრებაში მონაწილეობდა კონკურსანტი თამარ ბელქანია, რომელმაც წარმოადგინა პრეზენტაცია:

„ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სასამართლო პროცესის საარქივო დოკუმენტური მასალა“.

თამარ ბელქანიამ ამომწურავად უპასუხა კომისიის წევრების შეკითხვებს. როგორც აღნიშნა, მისთვის პრიორიტეტულია შეუსწავლელი საარქივო მასალის, ასევე, სამხრეთ კავკასიის არქივების კვლევა და იქ დაცული დოკუმენტური მასალის შესწავლა, საქართველოს ისტორიული მოვლენების, პოლიტიკურ თუ კულტურულ რაკურსში. ასევე, მისი თქმით, არსებული ისტორიული საარქივო დოკუმენტური მასალის შესწავლის შედეგად, შესაძლებელი იქნება - საბჭოთა ოკუპაციის ისტორის დაწერა. როგორც კონკურსანტმა განაცხადა, მისი კვლევითი ინტერესების საგანია ასევე, ტელევიზიის ფუნქციისა და პერსპექტივის შესწავლა მედიაკონკურენტულ გარემოში, კერძოდ, თუ რა ტრანსფორმირებული ფუნქციითა და ხერხებით იარსებებს ტელეარხი ონლაინმედიასთან მიმართებით.

კომისიის თავმჯდომარემ, მარი წერეთელმა კომისიის წევრებს გააცნო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის #118 დადგენილებით განსაზღვრული ხმის მიცემის პროცედურა (დანართი #1).

კონკურსის შედეგის დასადგენად გაიმართა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ:

მარი წერეთელი -კომისიის თავმჯდომარე (თსუს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი)

მანანა შამილიშვილი -კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (თსუს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი)

ნანული ტალახაძე -კომისიის მდივანი (თსუს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი)

ნათია კუპრაშვილი -კომისიის წევრი (თსუს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი)

ეკა თხილავა -კომისიის წევრი (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი)

ფარული კენჭისყრის შედეგები:

მაია ტორაძე - მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0

თამარ ბელქანია მომხრე - 5; წინააღმდეგი -0

საკონკურსო კომისიამ დაადგინა:

1.კონკურსანტ **მაია ტორაძის** მიერ გაწეული სამეცნიერო მუშაობის მოცულობა და მნიშვნელობა სრულად შეესაბამება თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის #118 დადგენილებით განსაზღვრულ აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესით დადგენილ მოთხოვნებს. კომისიის შეფასებით, კონკურსანტი მაია ტორაძე არის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების კვალიფიციური მკვლევარი, რომლის ნაშრომებიც ხასიათდება თემათა აქტუალურობით, მრავალმხრივობით, კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით, კერძოდ, მისი სამკვლევრო ინტერესების სფეროა: ქართული მედიაგარემოს მახასიათებლები, ყალბი ახალი ამბების გავრცელების მიზეზები, პოლარიზაციის გავლენა მედიაგარემოზე, გენდერული სტერეოტიპები ქართულ მედიაში და სხვ. იგი, როგორც კომპეტენტური მკვლევარი, ინტეგრირებულია

საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში (მისი ციტირების ინდექსია - 34. h ინდექსი -4, g-ინდექსი -1).

ასევე, აღსანიშნავია მაია ტორაძის სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელოები, კერძოდ, 2024 წელს გამოცემული წიგნი ,,იდეიდან წერტილამდე - წერა მედიისთვის". იგი, როგორც გამორჩეული პედაგოგი, წარმართავს და ხელმძღვანელობს სასწავლო ჟურნალ-გაზეთებს, რომლებსაც ტრადიციულად მაღალი შეფასება ეძლევა, გამოირჩევა გეოგრაფიული და თემატური მრავალფეროვნებით, სიახლეებითა და ძიებებით. მაია ტორაძე აქტიურად მონაწილეობს სასწავლო პროგრამების შექმნასა და განხორციელებაში, ხელმძღვანელობს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებს.

ამდენად, მაია ტორაძე დიდ ძალისხმევას ახმარს მიმართულების სასწავლო და კვლევითი პოტენციალის განვითარებას.

კონკურსანტ **თამარ ბელქანიას** მიერ გაწეული სამეცნიერო მუშაობის მოცულობა და მნიშვნელობა სრულად შეესაბამება თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის #118 დადგენილებით განსაზღვრულ აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესით დადგენილ მოთხოვნებს. კომისიის შეფასებით, თამარ ბელქანია არის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების გამოცდილი პედაგოგი, რომლის კვლევითი ინტერესები მოიცავს საბჭოთა პერიოდის საარქივო მასალათა კვლევას თანამედროვე ქართული დემოკრატიული მასმედიის რაკურსში, ასევე, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის თემას, ქართული პრესისა და კულტურის ამაგდარ მოღვაწეთა კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა-წარმოჩენას. აღსანიშნავია მისი პრაქტიკული ჟურნალისტური გამოცდილება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტებთან პრაქტიკული მუშაობის კუთხით. იგი აქტიურად მონაწილეობს სასწავლო პროგრამების განხორციელებაში, ხელმძღვანელობს მნიშვნელოვან სტუდენტურ პროექტებს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მიმართულების სასწავლო პროცესში.

2. კონკურსანტი **მაია ტორაძე** არჩეულ იქნეს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე (5 ხმა მომხრე, 0 წინააღმდეგი).

კონკურსანტი **თამარ ბელქანია** არჩეულ იქნეს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე (5 ხმა მომხრე, 0 წინააღმდეგი).

3. შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს თსუს აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე: მარი წერეთელი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: მანანა შამილიშვილი

კომისიის მდივანი: ნანული ტალახაძე

ნათია კუპრაშვილი

ეკა თხილავა